

ტაქსის გადაღების მაგივრად თეთრი ფირის გადაკვრა იქნება შესაძლებელი



თბილისის მერია ტაქსის მძღორებს ავტომანქანების გადაღების ადრენატივად თეთრი ფირის გადაკვრასაც სთავაზობს. დედაქალაქის მერის ვახა ვარაძის თქმით, როგორც გადაღება, ისე თეთრი ფირის გადაკვრა ტაქსის

მძღორებს ფინანსურ ტვირთად არ დააწვება.

„როდესაც დავიწყეთ ამ რეფორმაზე ფიქრი და მუშაობა, რა თქმა უნდა, ვითვარისწინებდით ტაქსის მძღორების სოციალურ მდგომარეობას. ამიტომ, გადაღების თანხები ტვირთად რომ არ დააწვეთ, პასუხისმგებლობა ავიღეთ და ერთ-ერთ სარეკლამო კომპანიასთან გავაფორმეთ ხელშეკრულება, რომელიც იღებს ვარდებულებას, რომ უზრუნველყოფს გადაღების სამუშაოების დაფინანსებას. ტაქსის მფლობელებს არც ერთი თეთრი არ უჭდებათ ავტომანქანების გადაღება, თუმცა მათ გამოთქვეს ვარაუდი, რომ შეიძლება გადაღებიერი ავტომანქანა წილების შემდეგ ისეთ ფასად ვერ გაყიდონ, როგორც მათ სურთ. ტაქსის მძღორების საინიციატივო ჯგუფის ერთ-ერთი მოთხოვნა იყო, რომ ეს პრობლემა მოგვარებულიყო. აქაც მივიღეთ ძალიან მნიშვნელოვანი გადაწყვეტილება და თუ გადაღება არ სურთ, მათ აქვთ შესაძლებლობა, თეთრი ფირი გადააკვრან. ამასაც ჩვენ ვაკეთებთ მათი მხრიდან ყოველგვარი დანახარჯის გარეშე“, – განაცხადა ვახა ვარაძემ.

მისი თქმით, A კატეგორიის ტაქსის მფლობელებს გადაეცემათ მანათობლები, ასევე დედაქალაქში გამოყოფილია საპარკინგე ადგილები, რომლითაც უფასოდ ისარგებლებენ ამ კატეგორიის ტაქსები.

„რაც შეეხება ფირის გადაკვრას, ამ შემთხვევაში, ისევე, როგორც შედეგებისას, რეკლამას ორი წლის განმავლობაში კომპანია განათავსებს და ის მიიღებს შემოსავალს, ხოლო ორი წლის შემდეგ შემოსავალი ავტომატურად მფლობელის საკუთრება იქნება. საინიციატივო ჯგუფი ეთანხმება ამ რეფორმას და მას მნიშვნელოვნად მიიჩნევს. ისინიც ამბობენ, რომ ამის გაკეთება მნიშვნელოვანია, თუმცა ითხოვდნენ, რომ ეტაპობრივად მომხდარიყო მისი განხორციელება. პარასკევს კიდევ მაქვს მათთან შეხვედრა და ვნახოთ, კიდევ რისი გაკეთება იქნება შესაძლებელი.

ვიცი, ვინ არის ამ აქციის ორგანიზატორი და უნდათ, რომ ტაქსის მძღოლები გამოიყენონ. მაქსიმალურად ვცდილობთ, გვექონდეს კომუნიკაცია ამ ადამიანებთან, მივაწოდოთ ინფორმაცია, რაც ძალიან მნიშვნელოვანია მათთვის. კიდევ ერთხელ ვიმეორებ, ამ რეფორმის განხორციელება როგორც თბილისელებისთვის, ასევე ტაქსის მძღოლებისთვის ძალიან მნიშვნელოვანი იქნება. ჩვენ ერთი დღით ხომ არ ვცხოვრობთ, წინ ვიყურებით, მომავალს ვუყურებთ. ზოგადად, ტაქსი ქარაქის სახეა, შესაბამისად, ეს ყველაფერი უნდა იყოს მონესრიგებუდი, როგორც განვითარებუდი, ევროპუდი ქარაქებში“, – განაცხადა კახა კარაძემ.